

შეხვედრის ადგილი	ბორჯომი/სასტუმრო „ბორჯომის ხეობის“ საკონფერენციო დარბაზი
თარიღი/დრო	25.10.2009/ 13:00
მონაწილეები	სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი თენგიზ შარმანაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისა და საქართველოს კონსტიტუციური მემკვიდრეობის საკითხთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მალხაზ მაცაბერიძე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი ზურაბ ჯიბლაშვილი, „სამართლიანი არჩევნების“, ადგილობრივი თვითმმართველობის, მედიისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.
შედეგი	შეხვედრაზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა ისაუბრეს მათი საქმიანობების შესახებ, რაც წარიმართა საკმაოდ საინტერესო დისკუსიის სახით. მოქალაქეებმა მიიღეს პასუხი მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე, ასევე გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები, თავიანთ საკონსტიტუციო შეხედულებები საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრის ბოლოს, დამსწრე საზოგადოებამ მაღლობა მოუხადა საკონსტიტუციო კომისიის წევრებს ასეთი მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრისთვის და აღნიშნა, რომ მზადაა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის გაუმჯობესების პროცესში.